სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

69135343378326

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261400990

რეგისტრაციის თარიღი

02.10.2026 წ

ნოტარიუსი: რუსუდან ფიფია
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #10
ტელეფონი: 2223678

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

სანოტარო აქტი
საქართველო, ქალაქი თბილისი

ორი ათას ოცდაექვსი წლის ორ ოქტომბერს მე, ნოტარიუს რუსუდან ფიფიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირ N10-ში, მომმართა შპს „ელ ფი ფი საქართველო"-ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა, დირექტორმა ნინო ჯანელიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რის საფუძველზეც შპს „ელ ფი ფი საქართველო"-ს სახელით **ეკა კემულარიას** და **შპს-ს „აბულაძე კემულარია სოლუშენ (აკს)"** მიანიჭებს შესაბამის უფლებამოსილებას.

დავადგინე ნინო ჯანელიძის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემოწმებისას მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ასევე შევამოწმე ნინო ჯანელიძის უფლებამოსილება.

ნინო ჯანელიძე არის შპს „ელ ფი ფი საქართველო"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404768113) დირექტორი, ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, რაც დასტურდება შპს „ელ ფი ფი საქართველო"-ს შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით, გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B25178132, 22/12/2025 17:34:45.

შემდეგ, შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე ნინო ჯანელიძეს. მან განაცხადა, რომ მინდობილობა შეესაბამება მარწმუნებლის შპს „ელ ფი ფი საქართველო"-ს ნებას და ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი ამ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაექვსი წლის ორ ოქტომბერს **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ „ელ ფი ფი საქართველო"** (მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რეგისტრაციის თარიღი: 10/04/2025, საიდენტიფიკაციო ნომერი: 404768113, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მიხეილ ასათიანის ქუჩა N10, კორპუსი N1, ბინა N25), შემდგომში „მარწმუნებელი" წარმოდგენილი დირექტორის **ნინო ჯანელიძის** (დაბადებული 19. 11. 1979 წელს თბილისში, რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი N35, ბინა N10, პირადი N01006007418) სახით, **ეკა კემულარიას** (დაბადებული 18. 02. 1973 წელს ოჩამჩირეში, პირადი N62005000668) და **შპს-ს „აბულაძე კემულარია სოლუშენ (აკს)"** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404544962, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მარო მაყაშვილის აღმართი N7, ბინა N23), შემდგომში „რწმუნებულები" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან ერთპიროვნულად ან/და ერთობლივად წარმოადგინონ მარწმუნებლის ინტერესები ნებისმიერი მუნიციპალიტეტის მერიასთან და მერიის სამსახურებთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან, მათ შორის, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასთან, სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურთან, თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონის გამგეობასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ასევე ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოსთან ურთიერთობაში. რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან შეიტანონ განცხადებები, შუამდგომლობები, მოითხოვონ ნებისმიერი კლასის მშენებლობის ნებართვა, ნებართვის

ნინო ჯანელიძე

ცვლილება/კორექტირება, განცხადებით მიმართონ ადმინისტრაციულ ორგანოს მშენებლობის ნებართვის განახლების ან მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ; ამ მიზნით წარადგინონ არქიტექტურული, სამშენებლო და საინჟინრო პროექტები, მათ შორის, პროექტის კონცეფციები, ექსპერტიზის დასკვნები, ტექნიკური ანგარიშები, საინჟინრო კვლევები და სხვა ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია პროექტის დამტკიცებისა და/ან მშენებლობის ნებართვის მიღებისათვის. რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით მიიღონ წერილები, ცნობები, დასკვნები, ნებართვები, აქტები და სხვა ადმინისტრაციული დოკუმენტები, გადაიხადონ კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლები, ხელი მოაწერონ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ განცხადებას, განმარტებას, შეთანხმებას.

რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან მარწმუნებლის სახელით მონაწილეობა მიიღონ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებაში, მარწმუნებლის ინტერესების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფარგლებში ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს წარუდგინონ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ყველა მასალა, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, წარადგინონ თავისი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები, მოიპოვონ (გამოითხოვონ), შექმნან და წარადგინონ ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტი.

რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან შეასრულონ სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინდობილი დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2027 წლის ორი ოქტომბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს რუსუდან ფიფიას სანოტარო არქივში, ერთი ეგზემპლარი გადაეცა შპს ,,ელ ფი ფი საქართველო"-ს დირექტორ ნინო ჯანელიძეს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ნოტარიუს რუსუდან ფიფიას სანოტარო არქივში თან ერთვის:

1. შპს ,,ელ ფი ფი საქართველო"-ს შესახებ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერი, გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B25178132, 22/12/2025 17:34:45.

,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის ოცდაცხრა დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად გადახდილია საზღაური 30 ლარი + საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად დღგ 5.40 ლარი და ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, სულ 40.40 ლარი.

მარწმუნებელი შპს ,,ელ ფი ფი საქართველო", წარმოდგენილი დირექტორის ნინო ჯანელიძის სახით

ნინო ჯანელიძე

ნოტარიუსი /რუსუდან ფიფია/



შესრულებულია
გვერდზე
ნოტარიუსი

